

პანსიონში მუდმივად მცხოვრები და პანსიონით ნაწილობრივ
მოსარგებლე გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე მოსწავლეების
თვითდეტერმინაციის უნარები

თამარ ზაუტაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება, გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პანსიონში მუდმივად მცხოვრები და პანსიონით ნაწილობრივ მოსარგებლე მოსწავლეების თვითდეტერმინაციის უნარების განვითარების მაჩვენებლებს შორის განსხვავების აღმოჩენას. ასევე, პანსიონით ნაწილობრივ მოსარგებლე მოსწავლეების მშობლების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გავლენას, თვითდეტერმინაციის უნარების განვითარებაზე.

დღესდღეობით საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს 8 სკოლა-პანსიონი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულებამდე მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას ბავშვების თვითდეტერმინაციის უნარების განვითარება და მასზე მოქმედი გარემო ფაქტორები.

კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ თბილისში არსებული სსიპ მე-200 საჯარო სკოლის (პანსიონური მომსახურებით), 13-დან 18 წლამდე გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე 20 მოსწავლე და 10 მშობელი (იმ მოსწავლეების მშობლები, რომლებიც ნაწილობრივ სარგებლობენ პანსიონური მომსახურებით). კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. პირველ ეტაპზე მოხდა დაკვირვება საკლასო და თავისუფალ (ხელსაქმე) გარემოში, ხოლო მეორე ეტაპზე მოხდა იმ 10 მოსწავლის მშობლის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შესწავლა, რომლებიც ნაწილობრივ სარგებლობენ პანსიონური მომსახურებით. კვლევაში გამოყენებული იქნა შემდეგი ინსტრუმენტები: 1. ნებისმიერ ქცევაზე დაკვირვების კითხვარი (The Volitional Question naire); 2. ფსიქიკური ჯანმრთელობის საკვლევი კითხვარი (Depression anxiety and Stress Scale -DASS).

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან, გამოჩნდა, რომ პანსიონში მუდმივად მცხოვრები, განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების თვითდეტერმინაციის უნარების განვითარების დონე განსხვავდება პანსიონით ნაწილობრივ მოსარგებლე

მოსწავლეების თვითდეტერმინაციის უნარების განვითარების დონისაგან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ამ განსხვავებას, არის მშობლების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: თვითდეტერმინაცია, გონებრივი განვითარების შეფერხება, პანსიონი, ფსიქიკური ჯანმრთელობა.